საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№567 2016 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 23-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული:

1. არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესი (დანართი №1).

2. არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების ნუსხა (დანართი №2).

3. აფლატოქსინით დაბინძურების (კონტამინაციის) რისკის შემცველი არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების ნუსხა (დანართი №3).

4. საერთო შესვლის დოკუმენტი (დანართი №4).

5. საერთო შესვლის დოკუმენტის შევსების წესი (დანართი №5).

6. ჯანმრთელობის სერტიფიკატი საქართველოში იმპორტისათვის (დანართი №6).

მუხლი 2. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა უზრუნველყოს არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ჩამონათვალის განსაზღვრა 2017 წლის 1 დეკემბრამდე.

მუხლი 3. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – შემოსავლების სამსახურმა უზრუნველყოს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების შესაბამისობაში მოყვანა ამ დადგენილების მოთხოვნებთან, მისი ამოქმედებიდან 10 წლის განმავლობაში.

მუხლი 4

1. დადგენილება, გარდა მე-2 და მე-3 მუხლებისა, ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

2. დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2016 წლის 23 დეკემბრის
№ 567 დადგენილებით

დანართი №1

არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1. არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესში (შემდგომში – წესი) გამოყენებულ ტერმინებს, ამავე წესის მიზნებისთვის, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **შემოსავლების სამსახური** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;

ბ) **სააგენტო** – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო;

გ) **სურსათი/ცხოველის საკვები** – არაცხოველური წარმოშობის სურსათი/ცხოველის საკვები;

დ) **შედგენილი პროდუქტი** – სურსათი/ცხოველის საკვები, რომელიც შეიცავს როგორც ცხოველური წარმოშობის გადამუშავებულ პროდუქტს, ასევე მცენარეულ პროდუქტს;

ე) **საერთო შესვლის დოკუმენტი** - ამ დადგენილების №4 დანართით განსაზღვრული დოკუმენტი, რომელსაც ავსებენ სურსათის/ცხოველის

საკვების მფლობელი ან მისი წარმომადგენელი და შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირი, ამ დადგენილების №5 დანართით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

ვ) **სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (სიპ)** - ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი;

ზ) **ტვირთი** – სურსათის/ცხოველის საკვების განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც გადაადგილდება საერთო დოკუმენტებით, გადაიზიდება ერთი სახის სატრანსპორტო საშუალებებით და გამოგზავნილია ერთსა და იმავე ქვეყნიდან ან რეგიონიდან. ტვირთი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან ერთზე მეტი პარტიისაგან;

თ) **პარტია** – ერთი სახეობისა და დასახელების სურსათის/ცხოველის საკვების იდენტიფიცირებადი რაოდენობა, გამოშვებული ერთისა და იმავე მწარმოებლის მიერ, ერთისა და იმავე ცვლის დროს და გაფორმებული ერთნაირი ეტიკეტით;

ი) **დოკუმენტური შემოწმება** – ტვირთის თანმხლები დოკუმენტების შემოწმება საქართველოში იმპორტისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;

კ) **იდენტურობის შემოწმება** – ტვირთის ვიზუალური დათვალიერება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტვირთის თანმხლები დოკუმენტების შესაბამისობა ტვირთის ეტიკეტსა და შიგთავსთან;

ლ) **ფიზიკური შემოწმება** – ტვირთის დათვალიერება, რაც შეიძლება ასევე მოიცავდეს სატრანსპორტო საშუალების, შეფუთვის, ეტიკეტის და ტემპერატურული რეჟიმის შემოწმებას, ნიმუშის აღებას ანალიზისათვის, ლაბორატორიულ და სხვა აუცილებელ შემოწმებას.

2. ამ წესში გამოყენებული ტერმინები, რომლებიც არ არის განმარტებული ამ მუხლის პირველი პუნქტით, გამოიყენება იმ

მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მათ აქვთ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ამ წესის მიზანია იმპორტისათვის განკუთვნილი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად სათანადო პირობებისა და სავალდებულო პროცედურების განსაზღვრა.

2. ეს წესი ვრცელდება:

ა) ამ დადგენილების №2 დანართით განსაზღვრული ნუსხით გათვალისწინებულ სურსათზე/ცხოველის საკვებზე;

ბ) ამ დადგენილების №3 დანართით განსაზღვრული ნუსხით გათვალისწინებულ აფლატოქსინით დაბინძურების (კონტამინაციის) რისკის შემცველ სურსათზე/ცხოველის საკვებზე;

გ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, სურსათის/ცხოველის საკვების კონკრეტულ სახეობებზე, რომლებიც განისაზღვრება სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, შემოსავლების სამსახურის ბრძანებით;

დ) შედგენილ პროდუქტზე, რომელიც შეიცავს ამ დადგენილების №3 დანართით გათვალისწინებულ სურსათს/ცხოველის საკვებს 20%-ზე მეტი ოდენობით.

3. ამ დადგენილების №2 დანართით განსაზღვრული ნუსხა ექვემდებარება გადახედვას და საჭიროებისამებრ, განახლებას 6 თვეში ერთხელ.

4. ეს წესი არ ვრცელდება:

ა) სურსათზე/ცხოველის საკვებზე, რომელთა ბრუტო წონა არ აღემატება 20 კილოგრამს;

ბ) ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილ სურსათზე/ცხოველის საკვებზე.

5. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლს ახორციელებს შემოსავლების სამსახური.

მუხლი 3. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი

1. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

2. თუ ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) ჰყავდეს თანამშრომელთა შესაბამისი რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ ტვირთის შემოწმება;

ბ) ჰქონდეს:

ბ.ა) შესაბამისი ფართი კონტროლის პროცედურების ჩასატარებლად;

ბ.ბ) სათავსები, სადაც ლაბორატორიული ანალიზის პასუხის მიღებამდე სათანადო პირობებში მოხდება ტვირთის შენახვა;

ბ.გ) შესაბამისი დაცული ტერიტორია, აღჭურვილობა და საშუალებები ტვირთის გადმოსატვირთად, ნიმუშების ასაღებად და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გასაგზავნად;

გ) გააჩნდეს დეტალური ინსტრუქცია ტვირთიდან ნიმუშის აღებისა და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოსაკვლევად გაგზავნის შესახებ.

3. თუ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს არ აქვს შესაბამისი ტვირთის იდენტურობის და ფიზიკური შემოწმების ჩასატარებლად აუცილებელი შენობა/აღჭურვილობა, ასეთი შემოწმებისათვის ტვირთი შეიძლება გაიგზავნოს სხვა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში.

4. როდესაც სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო მის ტერიტორიაზე სურსათის/ცხოველის საკვების იდენტურობის და ფიზიკური შემოწმება შეუძლებელია,

ნებადართულია ასეთი შემოწმებისათვის ტვირთის გაგზავნა სხვა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ან უახლოეს საბაჟო კონტროლის ზონაში, ხოლო მალფუჭებადი სურსათის/ცხოველის საკვების - ასევე ტვირთის მფლობელის ტერიტორიაზე, შემდეგი მინიმალური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში:

ა) არ გაუარესდება ჩატარებული კონტროლის ეფექტიანობა;

ბ) ადგილი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

გ) ტვირთი დარჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ და სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს ექნება მისი კონტროლის საშუალება, არ მოხდება ტვირთის გახსნა ან სასაქონლო სახის რაიმე ფორმით შეცვლა.

მუხლი 4. საერთო შესვლის დოკუმენტი

1. ტვირთი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შეიძლება შემოტანილ იქნეს მხოლოდ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის გავლით.

2. ტვირთის მფლობელი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია, ტვირთის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის სავარაუდო თარიღისა და დროის, ასევე ტვირთის სახეობის შესახებ წინასწარი შეტყობინება წარუდგინოს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს.

3. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს წინასწარი შეტყობინება წარედგინება „საერთო შესვლის დოკუმენტის“ ფორმით (დანართი №5).

4. „საერთო შესვლის დოკუმენტი“ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს წარედგინება შემდეგ ვადებში:

ა) სახმელეთო გზით შემოტანისას – შემოტანამდე 24 საათით ადრე;

ბ) საზღვაო გზით შემოტანისას – სატვირთო ოპერაციების დაწყებამდე 24 საათით ადრე;

გ) საჰაერო გზით შემოტანისას – საჰაერო ხომალდის საქართველოს საერთაშორისო აეროპორტში დაფრენამდე 2 საათით ადრე.

5. „საერთო შესვლის დოკუმენტი“ წარედგინება ელექტრონული ფორმით.

6. ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტვირთის შემდგომი ტრანსპორტირებისას, მას თან უნდა ახლდეს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული „საერთო შესვლის დოკუმენტი“.

მუხლი 5. კონტროლის პროცედურები

1. ტვირთის შემოწმება იწყება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში „საერთო შესვლის დოკუმენტის“ წარდგენის შემდეგ.

2. შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ახორციელებს:

ა) ტვირთის დოკუმენტურ შემოწმებას;

ბ) ტვირთის იდენტურობისა და ფიზიკურ შემოწმებას, მათ შორის, ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშების აღებას.

3. დოკუმენტური შემოწმების მიზნით, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს წარედგინება ტვირთის სატრანსპორტო დოკუმენტი, ანგარიშფაქტურა (ინვოისი), საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. აფლატოქსინით დაბინძურების (კონტამინაციის) რისკის შემცველი არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების (დადგენილების დანართი №3) შემთხვევაში, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებზე დამატებით წარედგინება: ჯანმრთელობის სერტიფიკატი საქართველოში იმპორტისათვის (დანართი №6) და ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ლაბორატორიული კვლევის ოქმი.

5. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სურსათის/ცხოველის საკვების იდენტურობისა და ფიზიკური შემოწმება, ლაბორატორიული ანალიზისთვის ნიმუშების აღების

ჩათვლით, ხორციელდება შესაბამისი ნუსხით დამტკიცებული სიხშირის მიხედვით, ელექტრონული პროგრამის საშუალებით.

6. სურსათის/ცხოველის საკვების იდენტურობისა და ფიზიკური შემოწმება უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ ტვირთის მფლობელის ან მისი წარმომადგენლისათვის შეუძლებელი იყოს იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ რომელი კონკრეტული ტვირთი დაექვემდებარება შემოწმებას.

7. ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იდენტურობის და ფიზიკური შემოწმების ჩასატარებლად ტვირთის გაგზავნა სხვა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ან უახლოეს საბაჟო კონტროლის ზონაში ან ტვირთის მფლობელის ტერიტორიაზე ხორციელდება მხოლოდ დოკუმენტური შემოწმების დასრულებისა და „საერთო შესვლის დოკუმენტის“ II ნაწილის შესაბამისი გრაფების შევსების შემდეგ, თუ შემოწმების შედეგები დამაკმაყოფილებელია. ამასთან:

ა) თანმხლები დოკუმენტები და საერთო შესვლის დოკუმენტის ასლი თან უნდა ახლდეს ტვირთს გადაადგილების დროს;

ბ) ტვირთის გაგზავნის შესახებ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილ პირს.

8. ლაბორატორიული ანალიზისათვის სურსათის/ცხოველის საკვების ნიმუშის აღება ხორციელდება საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით.

9. ტვირთის მფლობელი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის მითითებით უზრუნველყოს ტვირთის/მისი ნაწილის ჩამოტვირთვა, რომელიც ნიმუშების ასაღებად არის საჭირო, ხოლო სპეციალური ტრანსპორტის ან/და სპეციფიკური შესაფუთი მასალების შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს წარუდგინოს ნიმუშის ასაღებად საჭირო მოწყობილობა, თუ ნიმუშის აღება შეუძლებელია ჩვეულებრივი მოწყობილობით.

10. ფიზიკური შემოწმების (ლაბორატორიული ანალიზის) შედეგების მიღებამდე სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილმა პირმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება გაფორმების ადგილამდე ტვირთის შემდგომი გადაადგილების შესახებ იმ პირობით, რომ არ უნდა მოხდეს ტვირთის მთლიანობის დარღვევა და სასაქონლო სახის შეცვლა ფიზიკური შემოწმების შედეგების მიღებამდე.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის მიერ გაიცემა „საერთო შესვლის დოკუმენტის“ დამოწმებული ასლი და ინფორმაცია მიეწოდება გაფორმების ორგანოს.

მუხლი 6. ჯანმრთელობის სერტიფიკატი საქართველოში იმპორტისათვის

1. აფლატოქსინით დაბინძურების (კონტამინაციის) რისკის შემცველი არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების (დანართი №3) შემთხვევაში, ტვირთს თან უნდა ახლდეს ჯანმრთელობის სერტიფიკატი საქართველოში იმპორტისათვის (დანართი №6), რომელიც შევსებული და დამოწმებულია ტვირთის წარმოშობის ან გამომგზავნი ქვეყნის კომპეტენტური უწყების მიერ.

2. ჯანმრთელობის სერტიფიკატი შევსებულ უნდა იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

3. ჯანმრთელობის სერტიფიკატი მოქმედია გაცემიდან 4 თვის განმავლობაში.

მუხლი 7. ტვირთის კოდი

1. აფლატოქსინით დაბინძურების (კონტამინაციის) რისკის შემცველი სურსათის/ცხოველის საკვების შემთხვევაში, ტვირთში შემავალ თითოეულ ტომარაზე ან სხვა სახის შეფუთვაზე დატანილი უნდა იყოს ტვირთის კოდი,

რომელიც ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიეთითება ამ დადგენილების №6 დანართით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის სერტიფიკატსა და ლაბორატორიული კვლევის ოქმში.

2. თუ ტვირთის ერთ შეფუთვაში მოქცეულია რამდენიმე უფრო პატარა შეფუთვა/ერთეული, საკმარისია ტვირთის კოდის მითითება საერთო შეფუთვაზე, რომელიც ამ პატარა შეფუთვებს/ერთეულებს აერთიანებს.

მუხლი 8. კონტროლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები

1. ამ წესის შესაბამისად, სასაზღვრო კონტროლს დაქვემდებარებული სურსათის/ცხოველის საკვების იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ამ წესით გათვალისწინებული შემოწმების შედეგები დამაკმაყოფილებელია და წარდგენილია სათანადო წესით შევსებული და დამოწმებული „საერთო შესვლის დოკუმენტი“.

2. ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ აისახება „საერთო შესვლის დოკუმენტის“ II და III ნაწილებში.

3. თუ კონტროლის დროს დადგინდა, რომ ადგილი აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობების შეუსრულებლობას ან/და ტვირთი არ აკმაყოფილებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ტვირთის/მისი ნაწილის უკან დაბრუნების შესახებ;

ბ) ტვირთის/მისი ნაწილის განადგურების ან გადამუშავების შესახებ;

გ) ტვირთის/მისი ნაწილის სხვა მიზნით გამოყენების შესახებ.

მუხლი 9. ტვირთის უკან დაბრუნება

1. გადაწყვეტილება ტვირთის უკან დაბრუნების შესახებ მიიღება ტვირთის მფლობელთან შეთანხმებით, თუ:

ა) ტვირთის მფლობელი დანიშნულების ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს აცნობებს იმ მიზეზებისა და გარემოებების არსებობის შესახებ, რომლებიც ხელს უშლის შესაბამისი სურსათის/ცხოველის საკვების განთავსებას საქართველოს ბაზარზე;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთის დანიშნულების ქვეყანა არ არის მისი წარმოშობის/გამომგზავნი ქვეყანა, ტვირთის მფლობელი წარადგენს დანიშნულების ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს თანხმობას ასეთი ტვირთის მიღებაზე.

2. ტვირთის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს ტვირთის უკან დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის გაგრძელება შესაძლებელია შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში (დავის პერიოდით) ან დამატებითი ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების მოთხოვნისას (ასეთი გამოკვლევის ვადით).

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ თუ ტვირთი არ იქნა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი, ის ექვემდებარება განადგურებას.

მუხლი 10. ტვირთის განადგურება ან გადამუშავება

1. გადაწყვეტილება ტვირთის განადგურების ან გადამუშავების შესახებ მიიღება ტვირთის მფლობელთან შეთანხმებით ან ამ წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. ტვირთის განადგურება ან გადამუშავება ხორციელდება საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის გადამუშავებისათვის, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ტვირთის გადამუშავება შეიძლება მოიცავდეს:

ა) ისეთ გადამუშავებას, რომლის შედეგად მიღებული სურსათი/ცხოველის საკვები დააკმაყოფილებს საქართველოს ან სხვა ქვეყნის (სადაც გაიგზავნება გადამუშავებული საქონელი) კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სანიტარიული დამუშავების ჩათვლით, მაგრამ პროდუქციის გათხევადების გარეშე;

ბ) გადამუშავებას ნებისმიერი სხვა დანიშნულებით გამოსაყენებლად, ცხოველებისა და ადამიანების საკვებად გამოყენების გარდა.

მუხლი 11. ტვირთის სხვა მიზნით გამოყენება

გადაწყვეტილება ტვირთის სხვა მიზნით გამოყენების შესახებ მიიღება ტვირთის მფლობელთან შეთანხმებით, თუ ასეთი გამოყენება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

მუხლი 12. ტვირთის დაშლა/დანაწილება

1. ტვირთის დაშლა/დანაწილება შესაძლებელია მხოლოდ კონტროლის პროცედურების დასრულებისა და შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ „საერთო შესვლის დოკუმენტის“ შევსების შემდეგ.

2. ტვირთის დაშლის/დანაწილების შემთხვევაში, მის ყოველ ნაწილს იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევამდე თან უნდა ახლდეს „საერთო შესვლის დოკუმენტის“ დამოწმებული ასლი.

მუხლი 13. შემოსავლების სამსახურის თანამშრომლობა სააგენტოსთან

1. შემოსავლების სამსახური და სააგენტო მონაცემთა გადაცემის ელექტრონული ან/და სხვა საშუალებით რეგულარულად, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ცვლიან ინფორმაციას:

ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნათა დაცვის სფეროში არსებული რისკებისა და მისაღები ზომების შესახებ;

ბ) კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო სხვა მონაცემების თაობაზე.

2. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის შედეგად თითოეული ტვირთის შესახებ „საერთო შესვლის დოკუმენტში“ ასახული ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მიერ ელექტრონულად მიეწოდება სააგენტოს.

3. ისეთი გარემოებების გამოვლენისას, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას, შემოსავლების სამსახური ინფორმაციას შესაბამისი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ აწვდის სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, განხორციელებული/ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ აცნობებს შემოსავლების სამსახურს.

დანართი N2

არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების ნუსხა

სურსათი/ცხოველის საკვები (მისი გამოყენების მიზანი)	სეს ესნ კოდი	წარმოშობის ქვეყანა	არსებული საფთხე	ფიზიკური და იდენტურობის შემოწმების სიხშირე (%)
- ანანასი **(სურსათი - ახალი ან გაციებული)**	0804 30 00	ბენინის რესპუბლიკა	პესტიციდის ნარჩენები (2) (3)	20
- არაქისი დაუჩურჩავი - არაქისი დაჩურჩული - არაქისის კარაქი - არაქისი სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული **(სურსათი/ ცხოველის საკვები)**	- 1202 41 - 1202 42 - 2008 11 10 - 2008 11 92; 2008 11 94; 2008 11 96; 2008 11 98	ბოლივიის რესპუბლიკა	აფლატოქსინები	50
- ლობიო (*Vigna unguiculata* spp. *sesquipedalis*) - ბადრიჯანი *(Solanum melongena)* **(სურსათი - ახალი, გაციებული ან გაყინული ბოსტნეული)**	- 0708 20 00 (დან); 0710 22 00 (დან) - 0709 30 00; 0710 80 95 (დან)	კამბოჯის სახელმწიფო	პესტიციდის ნარჩენები (2) (4)	50
ჩინური ნიახური (Apium graveolens) **(სურსათი - ახალი ან გაციებული მწვანილი)**	0709 40 00 (დან)	კამბოჯის სახელმწიფო	პესტიციდების ნარჩენები (2) (5)	50
კომბოსტო - Brassica oleracea (სხვა საკვები კომბოსტო, „ჩინური ბროკოლი“) (6) **(სურსათი - ახალი ან გაციებული)**	0704 90 90 (დან)	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2)	50

ჩაი საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე **(სურსათი)**	0902	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2) (7)	10
- ლობიო (*Vigna unguiculata* spp. *sesquipedalis*) - ტკბილი წიწაკა (*Capsicum spp)* - წიწაკა, გარდა ტკბილი წიწაკისა (*Capsicum spp)* **(სურსათი - ახალი, გაცივებული ან გაყინული)**	- 0708 20 00 (დან); 0710 22 00 (დან) - 0709 60 10; - 0710 80 51 - 0709 60 99 (დან) 0710 80 59 (დან)	დომინიკის რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2) (8)	20
მარწყვი **(სურსათი - ახალი ან გაცივებული)**	0810 10 00	ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2) (9)	10
- ტკბილი წიწაკა *(Capsicum spp)* - წიწაკა, გარდა ტკბილი წიწაკისა (*Capsicum spp)* **(სურსათი - ახალი, გაცივებული ან გაყინული)**	-- 0709 60 10; - 0710 80 51 - 0709 60 99 (დან) 0710 80 59 (დან)	ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2) (10)	10
სუფრის ყურძენი **(სურსათი - ახალი ან გაცივებული**	0806 10 10	ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა	პესტიციდის ნარჩენები (2) (3)	20
- არაქისი დაუჩურჩავი - არაქისი დაჩურჩული - არაქისის კარაქი - არაქისი სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული	- 1202 41 00 - 1202 42 00 - 2008 11 10 - 2008 11 92;	გამბიის რესპუბლიკა	აფლატოქსინები	50

(სურსათი/ ცხოველის საკვები)	2008 11 94; 2008 11 96; 2008 11 98			
პალმის ზეთი (სურსათი)	1511 10 90; 1511 90 11; 1511 90 19 (დან) 1511 90 99	განას რესპუბლიკა	სუდანის საღებავები ([11])	50
სეზამის თესლი (სურსათის - ახალი ან გაციებული)	1207 40 90	ინდოეთის რესპუბლიკა	სალმონელა ([12])	20
ფერმენტები, ფერმენტული პრეპარატები (სურსათის/ცხოველის საკვები)	3507	ინდოეთის რესპუბლიკა	ქლორამფენიკოლი	50
ბარდა (დაუჩურჩავი) (სურსათი - ახალი ან გაციებული)	0708 10 00 (დან)	კენიის რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები ([2]) ([13])	10
- არაქისი დაუჩურჩავი - არაქისი დაჩურჩული - არაქისის კარაქი - არაქისი სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული (სურსათი/ ცხოველის საკვები)	- 1202 41 00 - 1202 42 00 - 2008 11 10 - 2008 11 92; 2008 11 94; 2008 11 96; 2008 11 98	მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკა	აფლატოქსინები	50
ჟოლო (სურსათი -გაყინული)	- 0811 20 31 0811 20 11(დან) 0811 20 19 (დან)	სერბეთის რესპუბლიკა	ნოროვირუსი	10
საზამთროს (Egusi, Citrullus spp.) თესლი და წარმოებული პროდუქტები (სურსათი)	1207 70 00 (დან) 1106 30 90 (დან) 2008 99 99 (დან)	სიერა-ლეონეს რესპუბლიკა	აფლატოქსინები	50
- არაქისი დაუჩურჩავი - არაქისი დაჩურჩული - არაქისის კარაქი	- 1202 41 00 - 1202 42 00	სუდანის რესპუბლიკა	აფლატოქსინები	50

- არაქისი სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული (სურსათი/ცხოველის საკვები)	- 2008 11 10 - 2008 11 92; 2008 11 94; 2008 11 96; 2008 11 98			
- წიწაკა, გარდა ტკბილი წიწაკისა (*Capsicum spp)* (სურსათი - ახალი ან გაციებული)	0709 60 99 (დან)	ტაილანდის სამეფო	პესტიციდების ნარჩენები (2) (14)	10
- ლობიო (*Vigna unguiculata* spp. *sesquipedalis*) - ბადრიჯანი *(Solanum melongena)* (სურსათი - ახალი, გაციებული ან გაყინული ბოსტნეული)	- 0708 20 00 (დან); 0710 22 00 (დან) - 0709 30 00; 0710 80 95 (დან)	ტაილანდის სამეფო	პესტიციდების ნარჩენები (2) (15)	20
-ხმელი გარგარი -გარგარი სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული (სურსათი)	- 0813 10 00 - 2008 50 61	თურქეთის რესპუბლიკა	სულფიტები (16)	10
ლიმონი *(Citrus limon, Citrus Limonum)* (სურსათი - ახალი, გამხმარი ან გაციებული)	0805 50 10	თურქეთის რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2)	20
წიწაკა ტკბილი *(Capsicum annuum)* (სურსათი - ახალი, გაციებული ან გაყინული ბოსტნეული)	- 0709 60 10; - 0710 80 51	თურქეთის რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2) (17)	10
ვაზის ფოთლები (სურსათი)	2008 99 99 (დან)	თურქეთის რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2) (18)	50
ბროწეული	0810 90 75 (დან)	თურქეთის	პესტიციდების	20

(სურსათი - ახალი ან გაცივებული		რესპუბლიკა	ნარჩენები (2) (19)	
- ბადრიჯანი *(Solanum melongena)* - ეთიოპიის ბადრიჯანი (*Solanum aethiopicum)* (სურსათი - ახალი, გაცივებული ან გაყინული ბოსტნეული)	- 0709 30 00; 0710 80 95 (დან) - 0709 99 90 (დან); 0710 80 95 (დან)	უგანდის რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2)	20
სეზამის თესლი (სურსათის - ახალი ან გაცივებული)	1207 40 90	უგანდის რესპუბლიკა	სალმონელა (12)	50
- ფისტა ნაჭუჭგაუცლელი - ფისტა ნაჭუჭგაცლილი (სურსათი)	- 0802 51 00 - 0802 52 00	ამერიკის შეერთებული შტატები	აფლატოქსინები	10
-ხმელი გარგარი -გარგარი სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული (სურსათი)	- 0813 10 00 - 2008 50 61	უზბეკეთის რესპუბლიკა	სულფიტები (16)	50
- ქინძის ფოთლები - რეჰანი - პიტნა - ოხრახუში (სურსათი - ახალი ან გაცივებული მწვანილი)	0709 99 90 (დან) 1211 90 86 (დან); 2008 99 99 (დან) 1211 90 86 (დან); 2008 99 99 (დან) 0709 99 90 (დან)	ვიეტნამის სახ. რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2) (20)	50
-ბამი (ოკრა); -წიწაკა, გარდა ტკბილი წიწაკისა (სურსათის - ახალი ან	0709 99 90 (დან) 0709 60 99 (დან)	ვიეტნამის სახ. რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2) (20)	50

გაცივებული)				
-პიტაია (სურსათის - ახალი ან გაცივებული)	0810 90 40 (დან)	ვიეტნამის სახ. რესპუბლიკა	პესტიციდების ნარჩენები (2) (20)	10

(1) იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებას ექვემდებარება სეს ესნ-ის ერთ კოდში შემავალი რამდენიმე დასახელების საქონელი და აღნიშნული კოდი არ შეიცავს სპეციალურ ქვესუბპოზიციებს, სეს ესნ-ის კოდს მიეთითება „-დან".

(2) ნარჩენები სულ მცირე იმ პესტიციდებისა, რომლებიც გათვალისწინებულია „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათში/ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტით;

(3) ნარჩენი ეთეფონის;

(4) ნარჩენი ქლორბუფამის;

(5) ნარჩენი ფენტოატის;

(6) Brassica oleracea L. convar. Botrytis (L) Alef var.Italica Plenck, cultivar alboglabra სახეობა. ასევე ცნობილია როგორც "Kai Lan", "Gai Lan", "Gailan", "Kailan", "Chinese kale", "Jie Lan";

(7) ნარჩენი ტრიფლურალინის;

(8) ნარჩენები აცეფატის, ალდიკარბის (ალდიკარბის, მისი სულფოქსიდისა და სულფონის ჯამი, გამოსახული როგორც ალდიკარბი), ამიტრაზის (ამიტრაზ, რომელიც შეიცავს 2,4 დიმეთილანინის შემცველ მეტაბოლიტებს, გამოისახება როგორც ამიტრაზი), დიაფენტიურონის, დიკოფოლის (p, p′ და o, p′ იზომერების ნაერთი), დითიოკარბამიტების (დითიოკარბამიტები გამოისახება როგორც CS2 და შეიცავს მანებს, მანკოზებს, მეთირამს, პროპინებს, ზირამის ჩათვლით) და მეთიოკარბის (ნაერთი მეთიოკარბის, მეთიოკარბის სულფოქსიდისა და სულფონის, გამოისახება როგორც მეთიოკარბი);

(9) ნარჩენები ჰექსაფ ლუმურონის, მეთიოკარბის (ნაერთი მეთიოკარბის, მეთიოკარბის სულფოქსიდისა და სულფონის, გამოიხატება როგორც მეთიოკარბი), ფენტოატის და თიოფანათ-მეთილის;

(10) ნარჩენები დიკოფოლის (p, p′ და o, p′ იზომერების ნაერთი), დინოტეფურანის, ფოლპეტის, პროქლორაზის (პროქლორაზის და მისი მეტაბოლიტების ჯამი, რომელიც შეიცავს 2,4–ტრიქლორფენოლის ფრაგმენტს, გამოისახება როგორც პროქლორაზი), თიოფანათმეთილის და ტრიფორინის;

(11) ამ დანართის მიზნებისათვის, „სუდანის საღებავი" გულისხმობს შემდეგ ქიმიურ ნივთიერებებს: (i) სუდან I (CAS Number 842-07-9); (ii) სუდან II (CAS Number 3118-97-6); (iii) სუდან III (CAS Number 85-86-9); (iv) მეწამული წითელი; ან სუდან IV (CAS Number 85-83-6);

(12) საკონტროლო მეთოდი EN/ISO 6579 (გამოვლენის მეთოდის უახლესი განახლებული ვერსია) ან მისი საწინააღმდეგო მეთოდი, რომელიც შეესაბამება EN/ISO 16140 უახლეს ვერსიას ან სხვა საერთაშორისოდ მიღებულ პროტოკოლებს;

(13) ნარჩენები აცეპატის და დიაფენთიურონის;

(14) ნარჩენები ფორმეტანატის (ფორმეტანატის და მისი მარილების ჯამი, გამოსახული როგორც ფორმეტანატი (ჰიდროქლორიდი)), პროთიოფოსი და ტრიფორინის;

(15) ნარჩენები აცეფატის, დიკროტოფოსის, პროთიოფოსის, ქვინალფოსისა და ტრიფორინის;

(16) საკონტროლო მეთოდები: EN 1988-1:1998, EN 1988-2:1998 or ISO 5522:1981.;

(17) ნარჩენები დიაფელთიურონის, ფორმეტანატის (ნაერთი ფორმეტანატის და მიდი მარილების გამოხატული როგორც ფორმეტანატი (ჰიდროქლორიდი)) და თიოფანატ-მეთილის;

(18) ნარჩენები დითიოკარბამიტების (დითიოკარბამიტები გამოისახება როგორც CS2 და შეიცავს მანებს, მანკოზებს, მეთირამს, პროპინებს, ზირამის ჩათვლით) და მეტრაფენონის;

(19) ნარჩენები პროქლორაზის;

(20) ნარჩენები დითიოკარბამიტების (დითიოკარბამიტები გამოისახება როგორც CS2 და

შეიცავს მანებს, მანკოზებს, მეთირამს, პროპინებს, ზირამის ჩათვლით), ფენტოატის და ქვინალფოსის.

დანართი N3

აფლატოქსინით დაბინძურების (კონტანიმაციის) რისკის შემცველი არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების ნუსხა

სურსათი/ცხოველის საკვების დასახელება	სეს ესნ კოდი	წარმოშობის ან გამომგზავნი ქვეყანა	ფიზიკური და იდენტურობის შემოწმების სიხშირე (%)
- წიწაკა *Piper* გვარისა; *Capsicum* გვარისა ან *Pimrnta* გვარის ნაყოფები, ხმელი, დამსხვრეული ან დაფქული: - კოჭა, ზაფრანა, ტურმერიკი (კურკუმა), ურცი, ან ბეგქონდარა, დაფნის ფოთოლი, კარი და დანარჩენი სუნელ-სანელებლები: **(სურსათი - ხმელი სანელებლები)**	- 0904 - 0910	ეთიოპიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა	50
- არაქისი დაუჩურჩავი - არაქისი დაჩურჩული - არაქისის კარაქი - არაქისი სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული **(სურსათი/ცხოველის საკვები)**	- 1202 41 - 1202 42 - 2008 11 10 - 2008 11 92; 2008 11 94; 2008 11 96; 2008 11 98	არგენტინის რესპუბლიკა	5
- თხილი (Corylus sp.) ნაჭუჭგაუცლელი - თხილი (Corylus sp.)	- 0802 21 00 - 0802 22 00	აზერბაიჯანის რესპუბლიკა	20

ნაჭუჭგაცლილი - კაკლებისა ან ხმელი ნაყოფების ნარევები, რომელიც შეიცავს თხილს - თხილის პასტა - თხილი, სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული, ნარევების ჩთვლით - თხილის წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი და ფხვნილი - დაჭრილი, დამტვრეული და დაქუცმაცებული თხილი - თხილის ზეთი (სურსათი)	- 0813 50 (დან) - 2007 10 (დან) ან 2007 99 - 2008 19 (დან) 2008 97 (დან) - 1106 30 90 (დან) - 0802 22 00 (დან); 2008 19 - 1515 90 99 (დან)		
- ბრაზილიური კაკალი ნაჭუჭგაუცლელი - კაკლებისა ან ხმელი ნაყოფების ნარევები, რომელიც შეიცავს ბრაზილიურ ნაჭუჭგაუცლელ კაკალს (სურსათი)	- 0801 21 00 - 0813 50 (დან)	ბრაზილიის რესპუბლიკა	შერჩევითი (random)
- არაქისი დაუჩურჩავი - არაქისი დაჩურჩული - არაქისის კარაქი - არაქისი სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული (სურსათი/ ცხოველის საკვები)	- 1202 41 00 - 1202 42 00 - 2008 11 10 - 2008 11 92; 2008 11 94; 2008 11 96; 2008 11 98	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა	20
- არაქისი დაუჩურჩავი - არაქისი დაჩურჩული - არაქისის კარაქი - არაქისი სხვა ხერხით	- 1202 41 - 1202 42 - 2008 11 10 - 2008 11 92;	ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა	20

დამზადებული ან დაკონსერვებული (სურსათი/ ცხოველის საკვები)	2008 11 94; 2008 11 96; 2008 11 98		
- ფისტა ნაჭუჭგაუცლელი - ფისტა ნაჭუჭგაცლილი - კაკლებისა ან ხმელი ნაყოფების ნარევები, რომელიც შეიცავს ფისტას - ფისტას პასტა - ფისტა სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული, ნარევების ჩთვლით - ფისტას წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი და ფხვნილი (სურსათი)	- 0802 51 00 - 0802 52 00 - 081350 (დან) - 2007 10 (დან) ან 2007 99 - 2008 19 13; 2008 19 93; 2008 97 (დან) - 1106 30 90	ირანის ისლამური რესპუბლიკა	50
- ხმელი ლეღვი - კაკლებისა ან ხმელი ნაყოფების ნარევები, რომელიც შეიცავს ლეღვს - ლეღვის პასტა - ლეღვი, სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული, ნარევების ჩთვლით (სურსათი)	- 0804 20 90 - 0813 50 (დან) - 2007 10 (დან) ან 2007 99 - 2008 99 (დან) 2008 97 (დან)	თურქეთის რესპუბლიკა	10
- თხილი (Corylus sp.) ნაჭუჭგაუცლელი - თხილი (Corylus sp.) ნაჭუჭგაცლილი - კაკლებისა ან ხმელი ნაყოფების ნარევები, რომელიც შეიცავს თხილს - თხილის პასტა	- 0802 21 00 - 0802 22 00 - 0813 50 (დან) - 2007 10 (დან) ან 2007 99	თურქეთის რესპუბლიკა	5

- თხილი, სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული, ნარევების ჩთვლით - თხილის წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი და ფხვნილი - დაჭრილი, დამტვრეული და დაქუცმაცებული თხილი - თხილის ზეთი (სურსათი)	- 2008 19 (დან) 2008 97 (დან) - 1106 30 90 (დან) - 0802 22 00 (დან); 2008 19 - 1515 90 99 (დან)		
- ფისტა ნაჭუჭგაუცლელი - ფისტა ნაჭუჭგაცლილი - კაკლებისა ან ხმელი ნაყოფების ნარევები, რომელიც შეიცავს ფისტას - ფისტას პასტა - ფისტა სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული, ნარევების ჩთვლით - ფისტას წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი და ფხვნილი (სურსათი)	- 0802 51 00 - 0802 52 00 - 081350 (დან) - 2007 10 (დან) ან 2007 99 - 2008 19 13; 2008 19 93; 2008 97 (დან) - 1106 30 90	თურქეთის რესპუბლიკა	50
- არაქისი დაუჩურჩავი - არაქისი დაჩურჩული - არაქისის კარაქი - არაქისი სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული (სურსათი/ ცხოველის საკვები)	- 1202 41 00 - 1202 42 00 - 2008 11 10 - 2008 11 92; 2008 11 94; 2008 11 96; 2008 11 98	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა	50
- არაქისი დაუჩურჩავი - არაქისი დაჩურჩული - არაქისის კარაქი - არაქისი სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული	- 1202 41 00 - 1202 42 00 - 2008 11 10 - 2008 11 92; 2008 11 94; 2008 11 96;	ინდოეთის რესპუბლიკა	10

(სურსათი/ ცხოველის საკვები)	2008 11 98		
საზამთროს (Egusi, Citrullus spp.) თესლები და მიღებული პროდუქტები (სურსათი)	- 1207 70 00 (დან); 1106 30 90 (დან); 2008 99 99 (დან)	ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა	50
- არაქისი დაუჩურჩავი - არაქისი დაჩურჩული - არაქისის კარაქი - არაქისი სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული (სურსათი/ ცხოველის საკვები)	- 1202 41 00 - 1202 42 00 - 2008 11 10 - 2008 11 92; 2008 11 94; 2008 11 96; 2008 11 98	ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა	10
- წიწაკა Capsicum annuum გვარის, მთლიანი - წიწაკა Capsicum annuum გვარის, დამსხვრეული ან დაფქული - Capsicum-ის გვარის ხმელი ნაყოფები, მთელი, გარდა ტკბილი წიწაკისა (Capsicum annuum) - ჯავზი (Myristica fragrans) (სურსათი - ხმელი სანელებლები)	- 0904 21 10 - 0904 22 00 (დან) - 0904 21 30 (დან) - 0908 11 00; 0908 12 00	ინდოეთის რესპუბლიკა	20
- ჯავზი (Myristica fragrans) (სურსათი - ხმელი სანელებლები)	- 0908 11 00; 0908 12 00	ინდონეზიის რესპუბლიკა	20

დანართი N4

საერთო შესვლის დოკუმენტი

ნაწილი I: ინფორმაცია ტვირთის შესახებ

I.1 გამომგზავნი/ექსპორტიორი დასახელება მისამართი ქვეყანა + ISO კოდი	I.2 სმდ სარეგისტრაციო ნომერი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი კოდი
I.3 საქონლის მიმღები დასახელება მისამართი საფოსტო კოდი ქვეყანა + ISO კოდი	I.4 ტვირთზე პასუხისმგებელი პირი სახელი, გვარი/სახელწოდება მისამართი I.5 წარმოშობის ქვეყანა + ISO კოდი I.6 გამომგზავნი ქვეყანა + ISO კოდი
I.7 იმპორტიორი დასახელება მისამართი საფოსტო კოდი ქვეყანა + ISO კოდი	I.8 დანიშნულების ადგილი დასახელება მისამართი საფოსტო კოდი ქვეყანა +ISO კოდი
I.9 სიბ-ში შემოსვლის სავარაუდო თარიღი თარიღი	I.10 დოკუმენტები ნომერი გაცემის თარიღი
I.11 სატრანსპორტო სამუალებები საჰაერო ☐ საზღვაო ☐ სარკინიგზო ☐ საავტომობილო ☐ იდენტიფიკაცია: სატრანსპორტო დოკუმენტის ნომერი	
I.12 ტვირთის აღწერილობა	I.13 საქონლის სეს ესნ კოდი I.14 ბრუტო/ნეტო წონა I.15 შეფუთვის რაოდენობა
I.16. ტემპერატურული რეჟიმი გარემო ☐ გაცივებული ☐ გაყინული ☐	I.17 შეფუთვის სახე
I.18. ტვირთი განკუთვნილია ადამიანის მოხმარებისთვის ☐ შემდგომი გადამუშავებისათვის ☐ ცხოველთა საკვებად ☐	
I.19 ლუქის ნომერი და კონტეინერის ნომერი	
I.20 გადაადგილება ☐ საბაჟო კონტროლის ზონა საბაჟო კონტროლის ზონის კოდი	I.21
I.22. იმპორტისთვის ☐ I.24 გადაადგილების სატრანსპორტო საშუალება სხვა სიბ-მდე სარკინიგზო ვაგონი ☐ სარეგსიტრაციო N თვითმფრინავი ☐ რეისის ნომერი N გემი ☐ დასახლება საავტომობილო ☐ სანომრე ნიშანი	I.23
1.25. დეკლარაცია მე, ქვემოთ ხელმომწერი ტვირთზე პასუხისმგებელი პირი ვადასტურებ, რომ ამ დოკუმენტის პირველ ნაწილში წარმოდგენილი მონაცემები ნამდვილია და სრულია. თანახმა ვარ, რომ დავიცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის მოთხოვნები, გადავიხადო შესაბამისი გადასახდელები, მათ მორის, მოთხოვნებთან შეუსაბამო ტვირთის უკან დაბრუნებისათვის ან/და განადგურებისათვის.	დოკუმენტის შევსების თარიღი და ადგილი ხელმომწერი პირი ხელმოწერა

ნაწილი II: გადაწყვეტილება ტვირთთან დაკავშირებით

II.1. სშდ რეგისტრაციის ნომერი

II.2. თანმხლები დოკუმენტის ნომერი

II.3. დოკუმენტური შემოწმება
დამაკმაყოფილებელი ☐ არადამაკმაყოფილებელი ☐

II.4. ტვირთი შერჩეულია ფიზიკური შემოწმებისთვის
კი ☐ არა ☐

II.5. მისაღებია გადაადგილებისათვის ☐
საბაჟო კონტროლის ზონა
საბაჟო კონტროლის ზონის კოდი

II.6. არ შეესაბამება ☐
1. უკან დაბრუნება ☐
2. განადგურება ☐
3. გადამუშავება ☐
4. სხვა მიზნით გამოყენება ☐

II.7.კონტროლირებადი დანიშნულების ადგილის დეტალური მონაცემები
რეგისტრაციის ნომერი
მისამართი
საფოსტო კოდი

II.8. სიპ-ის იდენტიფიკაცია და ოფიციალური შტამპი
სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი
სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის კოდი
შტამპი

II.9. უფლებამოსილი პირი
მე, ქვემოთ ხელის მომწერი უფლებამოსილი პირი, ვადასტურებ, რომ ამ ტვირთის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი ჩატარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
სახელი
თარიღი
ხელმოწერა/ბეჭედი

II.10.

II.11. იდენტურობის შემოწმება
კი ☐ არა ☐
დამაკმაყოფილებელი ☐ არადამაკმაყოფილებელი ☐

II.12. ფიზიკური შემოწმება
დამაკმაყოფილებელი ☐ არადამაკმაყოფილებელი ☐

II.13. ლაბორატორიული კვლევა კი ☐ არა ☐
გამოკვლეულია
შედეგი
დამაკმაყოფილებელი ☐ არადამაკმაყოფილებელი ☐

II.14. მისაღებია იმპორტში მოსაქცევად
ადამიანის მოხმარებისათვის ☐
შემდგომი გადამუშავებისთვის ☐
ცხოველის საკვებად ☐
სხვა ☐

II.15.

II.16. არ შეესაბამება
1. უკან გაბრუნება ☐
2. განადგურება ☐
3. გადამუშავება ☐
4. სხვა მიზნით გამოყენება ☐

II.17. უარის მიზეზი
1. ჯანმრთელობის სერტიფიკატის არარსებობა ან შეუსაბამობა ☐
2. დოკუმენტების შეუსაბამობა ☐
3. სანიტარულ -ჰიგიენურ მოთხოვნებთან შეუსაბამობა ☐
4. ქიმიური დაბინძურება ☐
5. მიკრობიოლოგიური დაბინძურება ☐
6. სხვა ☐

II.18. კონტროლირებადი დანიშნულების ადგილის დეტალური მონაცემები
რეგისტრაციის ნომერი
მისამართი
საფოსტო კოდი

II.19. ტვირთი გადაილუქა: ახალი ლუქის ნომერი

II.20. სიპ-ის იდენტიფიკაცია და ოფიციალური შტამპი
სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი
სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის კოდი
შტამპი

II.21. უფლებამოსილი პირი
მე, ქვემოთ ხელის მომწერი უფლებამოსილი პირი, ვადასტურებ, რომ ამ ტვირთის კონტროლი ჩატარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
სახელი, გვარი
თარიღი
ხელმოწერა
პირადნომრიანი ბეჭედი

ნაწილი III: მონაცემები კონტროლის ღონისძიებების შესახებ

III.1. დეტალური ინფორმაცია შემდგომი გადაადგილების შემთხვევაში:
სატრანსპორტო საშუალების N
რკინიგზის ვაგონი ☐ თვითმფრინავი ☐ გემი ☐ საავტომობილო ☐
დანიშნულების ქვეყანა: + ISO code
თარიღი

III.2. შემდგომი ღონისძიებები
უფლებამოსილი პირი
ტვირთი მიღებულია: დიახ ☐ არა ☐ ტვირთის შეესაბამება: დიახ ☐ არა ☐

III.3. უფლებამოსილი პირი
სახელი, გვარი
სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი
სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის კოდი
თარიღი
შტამპი
ხელმოწერა
პირადნომრიანი ბეჭედი

დანართი N5

საერთო შესვლის დოკუმენტის შევსების წესი

ნაწილი I. ინფორმაცია ტვირთის შესახებ – ივსება სურსათის/ცხოველის საკვების მფლობელის ან მისი წარმომადგენლის მიერ და ჩაიწერება შემდეგი მონაცემები:

გრაფა I.1 გამომგზავნი/ექსპორტიორი – ფიზიკური ან იურიდიული პირის (სურსათის/ცხოველის საკვების გამომგზავნის) დასახელება და მისმართი, რომელიც აგზავნის ტვირთს. სასურველია ტელეფონის, ფაქსის ნომრების ან ელ. ფოსტის მითითებაც.

გრაფა I.2

საერთო შესვლის დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი – უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი (ID ნომერი), რომელიც წინასწარი შეტყობინების წარდგენისას პროგრამულად ენიჭება დოკუმენტს.

სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი - სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი, საიდანაც განხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოში შემოტანა;

კოდი - სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის კოდი კლასიფიკატორის შესაბამისად.

გრაფა I.3 საქონლის მიმღები - ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება და მისამართი, რომელიც მიიღებს ტვირთს. სასურველია ტელეფონის, ფაქსის ნომრების ან ელ. ფოსტის მითითებაც.

გრაფა I.4. ტვირთზე პასუხისმგებელი პირი - ტვირთის მფლობელი ან მისი წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია ტვირთის წარდგენასა და დეკლარირებაზე. სასურველია ტელეფონის, ფაქსის ნომრების ან ელ. ფოსტის მითითებაც.

გრაფა I.5 წარმოშობის ქვეყანა - ქვეყანა, სადაც სურსათი/ცხოველის საკვები იქნა მოყვანილი, შეგროვებული, მოპოვებული და წარმოებული.

გრაფა I.6 გამომგზავნი ქვეყანა - იმ ქვეყნის დასახელება, სადაც საქონელი ჩაიტვირთა სატრანსპორტო საშუალებაში უშუალოდ დანიშნულების ქვეყანაში გადასაზიდად.

გრაფა I.7 იმპორტიორი - იმპორტიორის დასახელება და მისმართი. სასურველია ტელეფონის, ფაქსის ნომრების ან ელ. ფოსტის მითითებაც.

გრაფა I.8 დანიშნულების ადგილი - ტვირთის საბოლოო დანიშნულების ადგილის მისამართი. სასურველია ტელეფონის, ფაქსის ნომრების ან ელ. ფოსტის მითითებაც.

გრაფა I.9 სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში სავარაუდო შემოსვლის თარიღი - ტვირთის შესვლის სავარაუდო თარიღი.

გრაფა I.10 დოკუმენტები - საჭიროების შემთხვევაში ტვირთის ყველა თანმხლები დოკუმენტი, მათი გაცემის თარიღი და ოფიციალური ნომერი.

გრაფა I.11 სატრანსპორტო საშუალებები - დეტალური ინფორმაცია საქონლის/ტვირთის გადამაადგილებელი სატრანსპორტო საშუალების შესახებ: საჰაერო ტრანსპორტისას რეისის ნომერი, საზღვაო ტრანსპორტისას გემის სახელწოდება, საავტომობილო ტრანსპორტისათვის რეგისტრაციის ნომერი და მისაბმელის ნომერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სარკინიგზო ტრასნპორტისათვის მატარებლის და ვაგონის ნომერი. სატრანსპორტო დოკუმენტის ნომრები: ავიაზედდებულის ნომერი, სარკინიგზო ზედნადების ნომერი, კონოსამენტის, სატრასნპორტო ზედნადების ან TIR-წიგნაკის ნომერი.

გრაფა I.12 ტვირთის აღწერილობა - ტვირთის დეტალური აღწერილობა (ცხოველის საკვების შემთხვევაში საკვების სახეობა).

გრაფა I.13 საქონლის სეს ესნ კოდი - საქონლის სეს ესნ კოდი, როგორც ეს განსაზღვრულია „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით.

გრაფა I.14

ბრუტო წონა: მთლიანი წონა კილოგრამებში, პროდუქტების წონასთან ერთად იგულისხმება შეფუთვისა და კონტეინერის წონა, გარდა სატრანსპორტო კონტეინერების სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების წონისა.

ნეტო წონა: რეალური წონა კილოგრამებში, შეფუთვის გარეშე.

გრაფა I.15 შეფუთვის რაოდენობა - შეფუთვების რაოდენობა;

გრაფა I.16 ტემპერატურული რეჟიმი - ტრანსპორტის/შენახვის ტემპერატურული რეჟიმი

გრაფა I.17 შეფუთვის სახე - პროდუქტის შეფუთვის სახე.

გრაფა I.18 ტვირთი განკუთვნილია -

თუ ტვირთი განკუთვნილია ადამიანის მოხმარებისათვის შემდგომი დახარისხების ან გადამუშავების გარეშე, მოინიშნება - „ადამიანის მოხმარებისთვის";

თუ ტვირთი დახარისხების ან გადამუშავების შემდგომ განკუთვნილი იქნება ადამიანის მოხმარებისთვის, მოინიშნება - „შემდგომი გადამუშავებისთვის";

თუ ტვირთი განკუთვნილია ცხოველის საკვებად, მოინიშნება - „ცხოველის საკვებად".

გრაფა I.19 ლუქის ნომერი და კონტეინერის ნომერი - მიეთითება შესაბამისი ნომრები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გრაფა I.20 გადაადგილება - სხვა კონტროლის ზონაში ტვირთის გადამისამართების შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი კონტროლის ზონა/კოდი.

გრაფა I.21 არ ივსება.

გრაფა I.22 იმპორტისთვის - მოინიშნება ავტომატურად.

გრაფა I.23 – არ ივსება.

გრაფა I.24 გადაადგილების სატრანსპორტო საშუალება სხვა სიპ-მდე - ივსება სატრანსპორტო საშუალების შეცვლის შემთხვევაში და მიეთითება სატრანსპორტო საშუალების სახეობა და მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები.

გრაფა I.25 დეკლარაცია - ტვირთზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები და ხელმოწერა, დოკუმენტის შევსების თარიღი და ადგილი.

ნაწილი II გადაწყვეტილება ტვირთთან დაკავშირებით – ივსება შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ.

გრაფა II.1 საერთო შესვლის დოკუმენტის რეგისტრაციის ნომერი - იგივე სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც მითითებულია გრაფა I.2-ში.

გრაფა II.2 თანმხლები დოკუმენტის ნომერი - დეკლარაციის ნომერი, სატრანსპორტო დოკუმენტის ნომერი (ივსება საჭიროების შემთხვევაში).

გრაფა II.3 დოკუმენტური შემოწმება - მოინიშნება შემოწმების შედეგი.

გრაფა II.4 ტვირთი შერჩეულია ფიზიკური შემოწმებისთვის - მოინიშნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

გრაფა II.5 მისაღებია გადაადგილებისათვის – ივსება იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტური შემოწმების შედეგი დამაკმაყოფილებელია და უფლებამოსილი პირის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება იდენტურობისა და ფიზიკური შემოწმების ჩასატარებლად ტვირთის სხა კონტროლის ზონაში გადაადგილებაზე.

გრაფა II.6 არ შეესაბამება - თუ დოკუმენტური შემოწმების შედეგები არადამაკმაყოფილებელია, მოინიშნება უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება.

გრაფა II.7 კონტროლირებადი დანიშნულების ადგილის დეტალური მონაცემები - ივსება იმ შემთხვევაში, თუ გრაფაში II.6 მონიშნულია: „უკან დაბრუნება“, „განადგურება“, „გადამუშავება“ ან „სხვა მიზნით გამოყენება“ და მიეთითება დეტალური ინფორმაცია დანიშნულების ადგილის შესახებ.

გრაფა II.8 სიპ-ის იდენტიფიკაცია და ოფიციალური შტამპი - სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის შტამპი (დასახელება, კოდი და მისამართი).

გრაფა II.9 უფლებამოსილი პირი - შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, პირადნომრიანი ბეჭედი და თარიღი.

გრაფა II.10 არ ივსება.

გრაფა II.11 იდენტურობის შემოწმება – მოინიშნება იდენტურობის შემოწმების შედეგი.

გრაფა II.12 ფიზიკური შემოწმება – მოინიშნება ფიზიკური შემოწმების შედეგი.

გრაფა II.13 ლაბორატორიული კვლევა – მოინიშნება ნიმუშის აღების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, აისახება კვლევის პარამეტრები და მიღებული შედეგები.

გრაფა II.14 მისაღებია იმპორტში მოსაქცევად - ივსება დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში და მოინიშნება შესაბამისი დანიშნულება;

გრაფა II.15 არ ივსება

გრაფა II.16 არ შეესაბამება - ივსება იმ შემთხვევაში, თუ იდენტურობის შემოწმება ან ფიზიკური შემოწმება არ აკმაყოფილებს უვნებლობის მოთხოვნებს და მოინიშნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

გრაფა II.17 უარის მიზეზი - მოინიშნება უვნებლობის დადასტურებაზე უარის მიზეზი.

გრაფა II.18 კონტროლირებადი დანიშნულების ადგილის დეტალური მონაცემები - ივსება გრაფა II.16-ის შევსების შემთხვევაში („უკან გაბრუნება“, „განადგურება“, „გადამუშავება“ ან „სხვა მიზნით გამოყენება“) და მიეთითება ინფორმაცია დანიშნულების ადგილის ან იმ საწარმოს შესახებ, სადაც იგზავნება ტვირთი შემდგომი პროცედურებისთვის.

გრაფა II.19 ტვირთი გადაილუქა - ივსება ხელახალი დალუქვის შემთხვევაში და მიეთითება ახალი ლუქის ნომერი.

გრაფა II.20 სიპ-ის იდენტიფიკაცია და ოფიციალური შტამპი - სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის შტამპი (დასახელება, კოდი და მისამართი).

გრაფა II.21 უფლებამოსილი პირი - შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, პირადნომრიანი ბეჭედი და თარიღი.

ნაწილი III. მონაცემები კონტროლის ღონისძიებების შესახებ – ივსება შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ.

გრაფა III.1 დეტალური ინფორმაცია შემდგომი გადაადგილების შემთხვევაში – ივსება „უკან გაბრუნების“ ან შემდგომი გადაადგილების („გადამისამართების“) შემთხვევაში. მიეთითება სატრანსპორტო საშუალების სახეობა და საიდენტიფიკაციო მონაცემები, დანიშნულების ქვეყანა და გაგზავნის თარიღი.

გრაფა III.2 შემდგომი ღონისძიებები: ეს გრაფა ივსება ტვირთის „განადგურების“, „გადამუშავების“ ან „სხვა მიზნით გამოყენების“ შემთხვევაში და მოიცავს ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

გრაფა III.3 უფლებამოსილი პირი – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის შტამპი (დასახელება, კოდი და მისამართი), შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, პირადნომრიანი ბეჭედი და თარიღი.

დანართი N6

Health Certificate for the importation into Georgia
ჯანმრთელობის სერტიფიკატი საქართველოში იმპორტისათვის

.....

(Product and country of origin პროდუქტი და წარმოშობის ქვეყანა)

Consigment code ..... Certificate Number.....
ტვირთის კოდი სერტიფიკატის ნომერი

In accordance with the special import conditions set out by the Georgian legislation due to contamination risk by aflatoxins in certain food/feed
კონკრეტული სურსათის/ცხოველის საკვების აფლატოქსინით დაბინძურების რისკის არსებობისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იმპორტის სპეციალური პირობების გათვალისწინებით, ...
.....

(Name of competent authority/ კომპეტენტური უწყების დასახელება)

Certifies that this consigment composed of / ვადასტურებ, რომ ამ ტვირთში შემავალი
.....

(name of food/feed / სურსათის/ცხოველის საკვების დასახელება)

that consists /რომელიც შედგება: .....
.....
.....
.....(description of consigment, product, number and type of packages, gross or net weight
ტვირთის აღწერა, პროდუქტი, შეფუთვის რაოდენობა და ტიპი, ბრუტო ან ნეტო წონა)

Embarked at/ დაიტვირთა .....

(embarkation place დატვირთვის ადგილი)

By/ ვის მიერ .....

(identification of transporter გადამზიდველის მონაცემები)

Going to / მიემართება .....

(place and country of destination დანიშნულების ადგილი და ქვეყანა)

Which comes from the establishment /რომელიც წარმოებულია .....

.....

.....

(name and address of establishment საწარმოს სახელწოდება და მისამართი)

Have been produced, sorted, handled, processed, packaged and transported in line with good hygiene practices / წარმოებული, დაფასოებული, დატვირთული, გადამუშავებული, შეფუთული და ტრანსპორტირებული იქნა ჰიგიენური ნორმების დაცვით.

From the consignment, samples were taken to identify micotoxines in food/feed, in accordnce with the technical regulations on taking of samples and methods of analysis approved by Georgia / ამ ტვირთიდან ნიმუშები აღებულ იქნა სურსათში/ცხოველის საკვებში მიკოტოქსინების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ საქართველოს მიერ აღიარებული/დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად
on..... (date თარიღი),

subjected to laboratory analysis/ჩატარდა ლაბორატორიული ანალიზი on..... (date თარიღი),
in the .....

(name of laboratory ლაბორატორიის დასახელება)

to determine the level of aflatoxin B1 for feed and the level of aflatoxin B1 and level of total aflatoxin contamination for food. The detalis of sampling, methods of analysis used and all resulrs are attached ცხოველთა საკვებში აფლატოქსინ B1-ის დონის და სურსათში აფლატოქსინ B1-ის დონის და აფლატოქსინით სრული დაბინძურების დასადგენად. ნიმუშების აღების მონაცემები, ანალიზის გამოყენებული მეთოდები და შედეგები თან ერთვის.

This certificate is valid until ეს სერტიფიკატი ძალაშია .....
Done at გაცემულია ..... on ვადით .....

Stamp and signature of
authorised representative of competent authority
კომპეტენტური უწყების უფლებამოსილი წარმომადგენლის ბეჭედი და ხელმოწერა